ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5236755

ნომერი: AR1795530

თარიღი : 20.12.2020

გაცემის თარიღი : 24.12.2020

გაცნობის თარიღი : 24.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 108;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ქოქოსაძე პ/ნ 01008017751
- ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ.#43, ბ.44.

ორგანიზაცია:

- შპს ბიდლ კოდი: 400157879

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 11/09/2019 წლის №4664209 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 20/12/2020 წლის AR1795530 განცხადებით მომართა მოქალაქე თამაზ ქოქოსაძემ და მოითხოვა სამსახურის 11/09/2019 წლის №4664209 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/09/2019 წლის №4664209 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, N 108-ში, (ს/კ N01.11.10.008.202, ფართობი: 5957 კვ.მ.) ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის საფუძველზეც 16/12/2019 წლის № 4792134 და 01/12/2020 წლის № 5209485 ბრძნებებით შეთნხმდა შესაბამისი არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შემოერთება, რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 11/09/2019 წლის №4664209 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/09/2019 წლის №4664209 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო მონაცემები: განახლებული საკადასტრო გეგმა (ს.კ: 01.11.10.008.001; ფართობი: 7517კვ.მ რეგისტრაციის ნომერი: 882020965389, თარიღი: 18/12/2020). ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი: 882020965389, თარიღი: 18/12/2020);
2. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება შეტანილ იქნეს იმ პირობით, რომ არ განხორციელდეს <u>მომატებული ფართობის, დამატებითი პოტენციალის ათვისება.</u>
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/09/2019 წლის №4664209 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.